MES 6 23 0001537604

13/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს სხდომის მდივანი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლა
მორის დანდურიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლა
ბელა ცინცაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N12 საჯარო სკოლა
მედეია გურგენაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლა
გულნაზი ხორბალაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლა
თამილა ქურხაშვილი- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა
ნოდარ ოსაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა
ირმა მგელაძე-სკოლის დირექტორი

სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლა
ეკატერინე წიფურია-სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ქეთევან ბაცანკალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თამარ აბაზაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
მზევინარი დარბაისელი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკა კობიაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნათელა ბასილია -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნაია ენდელაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ტაბუცაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლელა კვირტია -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნანი სალია -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მიხეილ გაფრინდაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია ბრეგაძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ხათუნა ფაილაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
მაია ბაქრაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
იოსები მეგრელიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინო თამარაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ბექა კვაჭაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ჯულიეტა ტაბეშაძე- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნათია ბრეგაძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ნათია მაკრახიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N12 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ვიქტორია უშანგიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ხათუნა ნოზაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ირინე ჯანაშია -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ინგა გოგალაძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მაია შამუგია -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნათია კოხოძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
მადონა ბობოხიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ბორაშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
მაგდა მიქაბერიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თამთა მურვანიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ეთერ ბროლაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ზაზა მანია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ინგა ჯაფარიძე- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეკა ბარნაბიშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მეგი კაპანაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ილონა აკობია -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
ნანა ცინცაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მარინა ანესაშვილი -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ელენე ბეთლემიშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
თეა ტაბატაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
იზაბელა იოსელიანი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ლელა გორდულაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე ხუცოშვილი- ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
დიმიტრი პოპოვი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
როლანდი ხოჯანაშვილი- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინელი ცერცვაძე- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე კვირველია ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ლიკა ხვედელიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ირმა ხმელიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო შუბლაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
კახა გალდავა-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
გვანცა მოლაშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნაია ენდელაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მარინე ჩახვაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე ხუციშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მზია დადვანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნატროშვილი -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
თამარი დემეტრაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნიკოლოზ წულაია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
რუსუდანი არზიანი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მზია კიპაროიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ია გაგნიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
დავით კიკაბიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მაია სიხარულიძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
როლანდი ხოჯანაშვილი -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ჯულიეტა ტაბეშაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მურად ფახურიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია ბალხამაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ-გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე
ხათუნა ლოდია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე

ირმა ხუციშვილი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი
ხათუნა ნოზაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკა კობიაშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
გვანცა მოლაშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნათია მაკრახიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა მარკოზაშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნანა შალამბერიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ცინცაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე კვირკველია -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია.
საბჭოს სხდომას, სხდომის დასაწყისში არ ესწრებოდა, საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ სხდომაზე საბჭოს სხდომის მდივნად აირჩა, საბჭოს წევრი, მაკა მამფორია.
საბჭოს სხდომა 2023 წლის 30 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ-გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებმა, მორის დანდურიშვილმა და ზვიად გოგუაძემ, განაცხადეს, რომ ისინი ვერ მიიღებდნენ საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ხაშურში, ტაბიძის ქ. N22-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 900 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 900 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის ძლიერი მხარეს წარმოადგენდა მოწესრიგებული, ავთენტური პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები, პედაგოგთა მაღალი კვალიფიკაცია, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რომელშიც მოწყობილი იყო რეკრეაციული სივრცეები.მიუხედავად მიღწეული პროგრესისა და წარმატებისა, სკოლა და სასკოლო საზოგადოება არ წყვეტდა განვითარებაზე ზრუნვას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 243875197) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ხაშური, ტაბიძის ქ. N22
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ხაშური, ტაბიძის ქ. N22
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ხაშური, ტაბიძის ქ. N22

2. სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა ფაილაძემ.
მისი განცხადებით, სსიპ- ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
მისი თქმით, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა, დასძინა, რომ მესამე სტანდარტის 3.4. და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოირჩეოდა მოსწავლეებზე განსაკუთრებული მზრუნველობით და თანამშრომლობის მაღალი კულტურით. ხათუნა ფაილაძემ ხაზი გაუსვა სკოლაში არსებულ მოწესრიგებულ გარემოსა და ინფრასტრუქტურას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, მიიღო თუ არა სკოლამ დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დაწესებულების დირექტორმა, ბელა ცინცაძემ, განაცხადა რომ სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. აქვე, მან დასძინა, რომ სკოლა შესაბამისი სამსახურის მხრიდან ელოდებოდა ექსპერტთა ჯგუფს შენობის მდგრადობის შეფასების მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯაროსკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ზურაბ კიკვაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარის საჯარო სკოლას (ს/კ: 242007458) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი. სოფელი წიფნარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი. სოფელი წიფნარი

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს

სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა.
მისი განცხადებით, სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, გ. ჭყონდიდელის ქუჩა N85 -ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1218 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1218 მოსწავლისთვის.

ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა მესამე სტანდარტის კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლა საჭიროებდა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვებას შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ, ასევე, ქიმიის კაბინეტისთვის ამწოვკარადასა და ცეცხლგამძლე ზედაპირიან მაგიდას.

საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, 17:15 საათზე შემოუერთდა სსიპ-ქალაქ თბილისის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვას.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ, მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა განთავსებული იყო 9202 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე. შენობა იყო 4 სართულიანი, ჰქონდა 34 საკლასო ოთახი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში მოცემულ პერიოდში მეორე ცვლაში ფუნქციონირებდა სსიპ - ქალაქ თბილისის №113 საჯარო სკოლა, რომელიც 14.20 საათზე იწყებდა სწავლას, სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლასჰქონდა შეჭრილი ცვლაც, და რიგი კლასები, სწავლას იწყებდა 12:45 საათზე. ქეთევან ბოტკოველმა, ასევე დასძინა, რომ პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯ - მერმისთან. შესაბამისად, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებთან ერთად აწყობდნენ ექსკურსიებს კოლეჯში, ეცნობოდნენ პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამებს, მათი ინტერესის გათვალისწინებით. ექსპერტის თქმით, როგორც დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, ყოველწლიურად სკოლის მოსწავლეების ნაწილი სწავლას აგრძელებდა აღნიშნულ პროფესიულ სასწავლებელში. გარდა ამისა, დაინტერესებული მოსწავლეები, თანამშრომლობდნენ ალტე უნივერსიტეტის ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრთან. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ისინი ესწრებოდნენ ონლაინ ლექციებს სამედიცინო ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და ექსპერტებს, მეტი დეტალი გაეზიარებინათ საბჭოსთვის მეორე სტანდარტსა და მის მიმართ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვიქტორია უშანგიშვილმა განაცხადა, რომ მასწავლებლები მაღალ დონეზე ფლობდნენ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა განევითარებინათ მოსწავლეებისთვის

ყველა საჭირო უნარი სასურველი შედეგის მისაღწევად. ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი კურიკულუმები აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, რა ეტაპზე იყო ამწოვი კარადის დამონტაჟების საკითხი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მედეია გურგენაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ უკვე მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და ელოდებოდა უწყებიდან შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯაროსკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1218-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007759) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1218-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, გ. ჭყონდიდელის ქუჩა N85
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, გ. ჭყონდიდელის ქუჩა N85
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, გ. ჭყონდიდელის ქუჩა N85

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ასევე, სკოლას უნდა უზრუნველეყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა ამწოვითა და ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდით.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაგდა მიქაბერიძემ.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ქალაქ თბილისის №128 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვ. თოფურიას ქუჩა N12-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1700 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1700 მოსწავლისთვის.
მაგდა მიქაბერიძის განცხადებით, ოთხივე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა მესამე სტანდარტის კომპონენტი - 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
მაგდა მიქაბერიძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სსიპ -ქალაქ თბილისის N128 სკოლა ორიენტირებული იყო მოსწავლეთა მხარდაჭერასა და განვითარებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ძლიერი მხარე იყო არაფორმალური განათლების მიმართულება, რომელსაც კვალიფიციური პერსონალის საშუალებით აქტიურად ახორციელებდა. სკოლის გამორჩეულ პრაქტიკად ექსპერტმა დაასახელა მოსწავლეთა წარმატებები, რომელთა აღიარებაც მუდმივად ხდებოდა.

ასევე, დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. აქვე, ხაზი გაესვა, სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების მიზნით, სკოლაში შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსის არსებობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
მან იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები საკმაოდ კარგად იყო შემუშავებული, განსაკუთრებით სპორტის კურიკულუმი. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა, დაეზუსტებინა, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება მშობლების ინფორმირებულობას და, როგორ ითვალისწინებდნენ მათ ინტერესებს. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, გულნაზი ხორბალაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფდა მშობლებისგან მათი მოსაზრებების გაზიარებას, რაც აისახებოდა კურიკულუმებში. მაგალითისთვის, დირექტორმა აღნიშნა, რომ მშობლების სურვილი იყო კომპლექსური დავალებისთვის მასწავლებლებს არ გამოეყენებინათ ძვირადღირებული მასალები, რაც მასწავლებელმა გაითვალისწინა და საბუნებისმეტყველო მიმართულებით, კომპლექსური დავალების ფარგლებში, მოსწავლეებმა თერმოსი უბრალო მუყაოსგან დაამზადეს.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, თუ რა მექანიზმი ჰქონდა სკოლას შემუშავებული მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაგდა მიქაბერიძემ, განაცხადა, რომ სკოლაში არსებობდა გასაჩივრების დეტალური პროცედურები, ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელშიც აღწერილი იყო მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. მოსწავლეები ასევე იყვნენ უფლებამოსილნი, წარმოედგინათ ინიციატივები, რომელთა განხორციელებასაც დაწესებულება მხარს უჭერდა.
საბჭოს თავმჯდომარემკითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, როგორ ხდებოდა სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, აღნიშნა რომ სკოლაში ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, რაც თითოეულ მათგანს ეხმარებოდა, წინსვლასა და პროფესიულ განვითარებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ

თბილისის №128 საჯარო სკოლას (ს/კ: 204859750) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ვ. თოფურიას ქ. N12
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ვ. თოფურიას ქ. N12
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ვ. თოფურიას ქ. N12

5. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემმიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა ტაბატაძემ. მისი განცხადებით, სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 90 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ

აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90 მოსწავლისთვის.
თეა ტაბატაძის განცხადებით, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი - 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტის თქმით, თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
თეა ტაბატაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა იყო მცირეკონტიგენტიანი, საგნობრივი და სასკოლო ღონისძიებები ტარდებოდა სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა თანამონაწილეობით, ხდებოდა საგანთა შორის ინტეგრაცია, მათ შორის მშობელთა აქტიური ჩართულობით. სკოლა ასევე ახორციელებდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამებს.
ექსპერტმა განაცხადა, რომ შენობა იყო სამსართულიანი, ყველა სართულზე მდებარეობდა სველი წერტილები. შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 2022 წელს და გათვლილი იყო 90 მოსწავლეზე. სკოლაში ფუნქციონირებდა 13 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, ერთი ღია სპორტული მოედანი, ასევე 3 დამხმარე ოთახი, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის ოთახი. მისი თქმით, პირველ სართულზე განთავსებული იყო მცირე ზომის დარბაზი, რომელსაც იყენებდნენ სასკოლო აქტივობებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და სთხოვა მეტი დეტალიზაციისთვის, წარმოედგინათ საბჭოსთვის ინტეგრირებულ გაკვეთილებთან დაკავშირებული საკითხები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თამილა ქურხაშვილმა აღნიშნა რომ სკოლაში განხორციელდა ხელოვნებისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება ემუშავათ კულტურული ძეგლის ისტორიაზე, ასევე, მათ შეითავსეს გიდის პროფესია, დაამზადეს ორენოვანი ბუკლეტები და შეიმუშავეს მარშრუტი ტურისტებისათვის. მისი განცხადებით, კიდევ ერთი პროექტი განხორციელდა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა მეორე სტანდარტსა და წარმოდგენილ კურიკულუმებზე და განაცხადა რომ სკოლა საჭიროებდა განვითარებას ამ მიმართულებით. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, განაცხადა, რომ მეორე სტანდარტში ექსპერტებს არ ჰქონდათ გაცემული რჩევები და აღნიშნული სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მან მიმართა საგნობრივ ექსპერტებს დაეზუსტებინათ აღნიშნული. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ლელა გორდულაძემ აღნიშნა, რომ რჩევები და რეკომენდაციები გაცემული იყო ადგილზე ვიზიტისას, რომელიც სკოლის მიერ იქნა გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საჯარო სკოლას (ს/კ: 240413209) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო მაჩხაანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო მაჩხაანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო მაჩხაანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4, კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

6. სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო ს კოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემმიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა ხვედელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს. დაწესებულება მდებარეობდა ორ მისამართზე I კორპუსი-ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელ შორაპანში, ფარნავაზის ქ. N21-ში, ხოლო II კორპუსი-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპანში, ბატონიშვილის ქ. N4-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა პირველი კორპუსისთვის შეადგენდა 250-ს, ხოლო მეორე კორპუსისთვის 150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია მოცემული რაოდენობის მოსწავლისთვის.
ექსპერტ, ლიკა ხვედელიძის განცხადებით, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს," პირველი-,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მისი თქმით, 3.1, 3.3, 3.4, 3.5, 3.6 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციებირეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ლიკა ხვედელიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო USAID სამოქალაქო განათლების პროგრამაში, პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა შედგა სამეცნიერო-ინტელექტუალურ კლუბ "თაობათა დიალოგთან'', ასევე, დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი ,,მე ვარ ტოლერანტი და მაშასადამე, არ ვარ მოძალადე". კვირეულის ფარგლებში გაიმართა ბევრი საინტერესო აქტივობა: ფილმის ჩვენება, ნახატების კონკურსი, პრეზენტაციები ტოლერანტობის და ბავშვზე ძალადობის შესახებ, მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, რომელიც თემში დარიგდა, სკოლის ეზოში მოეწყო სიმბოლური ,,ტოლერანტობის ჯაჭვი". ასევე, სამოქალაქო განათლების კლუბ ,,როდენის მოაზროვნეების" მიერ მეწარმოეობის უნარების განვითარების მიზნით, მოსწავლეებმა დაამზადეს ხელნაკეთი ნივთები, მოახდინეს მისი რეალიზაცია და შემოსული თანხით დაეხმარნენ მრავალშვილიან გაჭირვებულ ოჯახებს. სამოქალაქო განათლების კლუბის ინიციატივით და მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით განხორციელდა სოციალური პროექტი ,,სიკეთე გადამდებია." აღნიშნულის ფარგლებში მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. შემოსული თანხით სასკოლო საზოგადოებამ ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა შინდისის გმირ - ზაზა ფერაძის დედას. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა,

რომ დაწესებულება ატარებდა ზაზა ფერაძის სახელს. მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით სკოლაში რამდენიმე პროექტი განხორციელდა, მათ შორის, ,,შავი ზღვის მავნე ყვავილობა", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა დაამზადეს სტატიები სასკოლო გაზეთისთვის და განახორციელეს დედამიწის დღესთან დაკავშირებული პროექტი, სახელწოდებით ,,დედამიწა ჩვენი სახლია", რომელიც მოიცავდა რამდენიმე აქტივობას: ნახატების კონკურსს, ბუკლეტის დამზადებას, საკონფერენციო თემების მომზადებას. სკოლაში განხორციელდა ასევე პროექტი ,,იკვებე ჯანსაღად და იქნები ჯანმრთელი" . X კლასში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სავალდებულო პროექტის ფარგლებში განხორციელდა 2 პროექტი: ,,კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია" და სამეწარმეო კუთხით ,,სახელოვნებო პროფესიების გაცნობა". პირველი პროექტის ფარგლებში მოეწყო ექსკურსია გელათი- ბაგრატი - მოწამეთა. მეორე პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ეწვივნენ ზესტაფონის თეატრსა და ქორეოგრაფიულ სტუდიას, სადაც ჩაწერეს ინტერვიუები მსახიობებთან და ქორეოგრაფებთან. მოეწყო ექსკურსია ქუთაისის კოლეჯში ,,იბერია" და შპს კვების ობიექტში ,,გურმანი".

ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ, სკოლის ძლიერ მხარედ დაასახელა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით დაგეგმილი აქტივობები. მისი თქმით, 2017 წლიდან სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ქუთაისის კოლეჯ იბერიასთან. 2017-2018 წლებში ,,WSD PROGRAM - მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების" პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ,,კულინარიის ხელოვნებისა" და ,,კერვის" 48 საათიანი ხუთი კურსი. პროექტისათვის გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილი იყო ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ავეჯით, რომელიც ქმნიდა სასიამოვნო გარემოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებისთვის სისტემატურად ეწყობოდა ვიზიტები/ექსკურსიები ფეროშენადნობთა ქარხანაში მეტალურგის პროფესიის გასაცნობად. სკოლის სასწავლო კურიკულუმები ითვალისწინებდა მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას არაფორმალურ სასწავლო პროცესში. ამ მიზნით სკოლაში განხორციელდა შემდეგი პროექტები: ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'', ,,იავნანამ რა ჰქმნა'', ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი და ჰიგიენა'', ,,საგზაო ნიშნები". ექსპერტის თქმით, აღნიშნულ პროექტებში ჩართულობა მოსწავლეებს უვითარებდა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს.
ექსპერტმა, ლიკა ხვედელიძემ, განაცხადა, რომ კორპუსი რომელიც მდებარეობდა ბატონიშვილის ქუჩა N4 ში თარიღდებოდა 1905 წლით, არ იყო ადაპტირებული, ასევე, საჭიროებდა სრულ რეაბილიტაციას. შენობაში გამოყოფილი იყო ექიმისთვის მხოლოდ სივრცე აღჭურვილობის გარეშე, შესაბამისად სკოლას არ ჰყავდა კადრი და შესაბამის მომსახურებას უწევდა პირველ კორპუსში მყოფი ექიმი. პირველი კორპუსი იყო სრულად რეაბილიტირებული და აღჭურვილი სტანდარტთან შესაბამისად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა, დაეზუსტებინა, რა ეტაპზე იყო პირველ და მესამე სტანდარტთან დაკავშირებული დოკუმენტაციების შემუშავებისა და მოპოვების პროცესები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ნოდარ ოსაძემ, განაცხადა რომ სკოლა ამ ეტაპზე მუშაობდა კონკრეტულ დოკუმენტაციაზე, მათ შორის, რაც ეხებოდა სახანძრო უსაფრთხოებასა და შენობის მდგრადობას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მეორე კორპუსი სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდა, შესაბამისად, სასწავლო პროცესი აღნიშნულ კორპუსში ვერ წარიმართებოდა. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენად შეესაძლებელი იქნებოდა მეორე კორპუსის მოსწავლეების პირველ კორპუსში გადმოყვანა და ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში 400 მოსწავლის პირველ კორპუსში განთავსება სწავლების ორ ცვლაში განხორციელების შემთხვევაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ,

სკოლის დირექტორმა, ნოდარ ოსაძემ, განაცხადა, რომ პირველ კორპუსში შესაძლებელი იყო 400 მოსწავლის განთავსება, სწავლებას კი განახორციელებდნენ ორ ცვლაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლას (ს/კ: 230078493) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი, ფარნავაზის ქ. 21
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი, ფარნავაზის ქ. 21
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. შორაპანი, ფარნავაზის ქ. 21

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;

მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), სტანდარტი.

სკოლის პირველ კორპუსთან დაკავშირებით საბჭომ 3.4, 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ასევე, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს 3.1 და 3.3 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, კერძოდ, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პერსონალის პირადი საქმეები სრულყოფილი სახით, მისიის დოკუმენტი, უზურნველყოს მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია და ასევე კვალიფიციური ექიმის აყვანა.

7. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემმიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზოგადი თამარ დემეტრაშვილმა.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 აგვისტოსა და 01 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარფში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 180 მოსწავლეს.
მისი თქმით, პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ მესამე სტანდარტის 3.4., 3.5 და 3.6 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით..

თამარ დემეტრაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ცდილობდა განვითარებას, რაც ცხადად გამოიხატებოდა, როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ისწავლებოდა ლაზური ენა, ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა ფოლკლორისა და ტრადიციების შენარჩუნებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რომელ წელს აშენდა სკოლა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ირმა მგელაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახალი აშენებული აჭარის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. აღნიშნულ შენობაში სასწავლო პროცესი 2019 წლის თებერვლიდან მიმდინარეობდა. ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, მიიღო თუ არა სკოლამ შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი, დაწესებულების მშენებლობის დასრულების შემდგომ. დასმული შეკითხვის პასუხად, სკოლის დირექტორმა, განაცხადა, რომ ზემოხსენებული დოკუმენტი არ ჰქონდა მიღებული და აღნიშნულ საკითხზე სკოლამ 2020 წელს მიწერა შესაბამისუწყებას, საიდანაც სკოლას ეწვია ექსპერტთა ჯგუფი. მოცემული დროისთვის დაწესებულება ელოდებოდა შემდგომ ნაბიჯებს აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, დაეზუსტებინა, თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა ლაზური ენის, ფოლკლორისა და კულტურის შენარჩუნებას და, როგორ ხდებოდა აღნიშნულის სწავლა - სწავლების პროცესში რეალიზება. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში ლაზური ენის სწავლებას დიდი ყურადღება ექცეოდა, ხოლო ფოლკლორისა და კულტურის ინტეგრაცია ხდებოდა არაფორმალური განათლების ფარგლებში. მისი განცხადებით, მოსწავლეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლაზური სიმღერები და ცეკვები. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, განემარტა,, თუ რამდენად იყო თემი აღნიშნული საკითხით დაინტერესებული. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ თემის მხრიდან დაინტერესება მაღალი იყო. შესაბამისად, სკოლა, აღნიშნული არაფორმალური ღონისძიებებითა და პროექტებით ცდილობდა ლაზური ენისა და კულტურის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, დაეზუსტებინა, გაიცა თუ არა რეკომენდაციები, შეფასების რუბრიკები ყოფილიყო უფრო მეტად დამაზუსტებელი და ცხადი დაინტერესებული პირებისთვის. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ჯულიეტა ტაბეშაძემ, განაცხადა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილი იყო ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელთან დაკავშირებითაც, ექსპერტის მხრიდან გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლაში შექმნილი იყო თანამშრომლობითი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლას (ს/კ : 248386820) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ,

შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

8. სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ და ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადეს, რომ ის ვერ მიიღებდნენ აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა ლოდიამ. მისი თქმით, სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, პეტრე მელიქიშვილის N2-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2000 მოსწავლეს.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. თუმცა, აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის 3.4. და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ეხათუნა ლოდიამ აღნიშნა, რომ თითოეულ მეტწილად შეფასებულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებიაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლას რადიო „საქართველოს ხმასთან“ გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ამზადებდნენ გადაცემას სახელწოდებით „მოსწავლის ხმა“. მან დასძინა, რომ მოსწავლეების მიერ მომზადებული გადაცემები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში იკავებდა რადიო „საქართველოს ხმის“ საეთერო ბადეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და ექსპერტებს მიმართა კითხვით, დაეზუსტებინათ, როგორ ხდებოდა აღნიშნული კურიკულუმების შეფასება ავტორიზაციის პროცესში და როგორ წარმიმართა მასწავლებლებთან შეხვედრისა და ინტერვიუების პროცესი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ,

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ნათია მაკრახიძემ აღნიშნა, რომ მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილი კურიკულუმები იყო სრულყოფილი და გამართული. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეკა კობიაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანდამასწავლებლების აქტიურობა და ჩართულობა. სკოლაში ჩამოყალიბებული იყო არაერთი კლუბი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა მრავალფეროვანი პროექტები. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ნანა ცინცაძემ, დაამატა, რომ კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, მასწავლებლები აქტიურად ახორციელებდნენ, როგორც კომპლექსურ დავალებებს, ასევე, ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სხვადასხვა სახის პროექტებს. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა ნანა შალამბერიძემ აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა კოლეგების მოსაზრებებს.
საბჭოს თავმჯდომარემმიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, განმარტა, რომ სკოლის მხრიდან შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იყო სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის საფუძველზეც , სკოლის შენობა სეისმომედეგობასთან სრულ შესაბამისობაში არ იყო, თუმცა, მოცემულ ეტაპზე იყო უსაფრთხო. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ სკოლისთვის საფრთხეს წარმოადგენდა 8-ბალიანი მიწისძვრა. აქვე, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, როგორ გეგმავდა სკოლა შენობის ადაპტირებას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შენობის ადაპტირების მიზნით, სკოლამ წარადგინა მიწერილობა შესაბამის სამსახურში, საიდანაც სკოლამ მიიღო ინფორმაცია, რომ სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის სრულად ადაპტირება დაიგეგმებოდა 2024 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გალაკტიონ

ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლას (ს/კ: 203850699) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით. კერძოდ, წარმოედგინა დასკვნა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე, მტკიცებულებები იმისა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას სკოლა აღჭურვიდა ამწოვი კარადითა და უზრუნველყოფდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 21:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
მამფორია მაკა